ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4443503

ნომერი: AR1671600

თარიღი : 28.03.2019

გაცემის თარიღი : 04.04.2019

გაცნობის თარიღი : 05.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არსენ ოდიშვილი პ/ნ 16001003828
- თბილისი

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვლადიმერ გაი
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს პირველწყარო
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405011892

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ფლექს გრუპი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404962073
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: არსენ ოდიშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 16001003828

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 3055097
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 20.01.2017

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 3055097
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 20.01.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. წარმოადგინეთ მშენებლობის ნებართვის სტადიაზე წარმოსადგენი რეალური საინფორმაციო დაფა/ბანერის ფოტოსურათები გადაღებული შორი და ახლო მანძილიდან, რომელიც უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას. საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შენობა-ნაგებობის მისამართი;
- შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
- შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ინფორმაცია არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ აღნიშნული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ შორი მანძილიდან და სხვადასხვა ხედიდან, დღევანდელი მდგომარეობით გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა გადაღების თარიღის დაფიქსირებით.

3. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: ვინაიდან მშენებლობის ვადა გასულია, შესაბამისად გადაიხადეთ კ-2 კოეფიციენტის მაჩვენებლის გათვალისწინებით 1 კვ. მ-ზე, 4 ლარის ოდენობით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.